

შპს ექსპორტ +

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	15
4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში	16
5. შემოსავალი	17
6. ადმინისტრაციული ხარჯი	17
7. ფინანსური ხარჯი, წმინდა	17
8. არასაოპერაციო ხარჯები	17
9. გაცემული სესხები	18
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები	19
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
12. ფული და ფულის ექვივალენტები	19
13. მიღებული სესხები	20
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15. გადასახადები	21
16. ფინანსური რისკის მართვა	21
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	25
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	25

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	5	10,141,695	9,469,034
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(8,511,262)	(8,995,257)
მოგება რეალიზაციიდან		1,630,433	473,777
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(64,977)	(66,914)
საოპერაციო მოგება		1,565,456	406,863
ფინანსური ხარჯი, წმინდა	7	(114,422)	(87,265)
არასაოპერაციო ხარჯები	8	(895,038)	(122,829)
მოგება დაბეგვრამდე		555,996	196,769
მოგების გადასახადი	14	-	(33,645)
წლის მოგება		555,996	163,124
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		555,996	163,124

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აგვისტოს:

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული გრძელვადიანი სესხი	9	-	254,654	64,000
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,316	1,316	1,316
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,316	255,970	65,316
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	1,479,344	1,827,497	-
გაცემული სესხი, მოკლევადიანი	9	334,720	41,868	9,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	2,104,750	2,392,550	3,002,602
ფული და ფულის ექვივალენტები	12	815,050	817	249,907
სულ მიმდინარე აქტივები		4,733,864	4,262,732	3,261,977
სულ აქტივები		4,735,180	4,518,702	3,327,293
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		719,120	163,124	665,206
სულ კაპიტალი		719,120	163,124	665,206
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი მიღებული სესხი	13	697,125	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		697,125	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	2,092,582	1,405,315	2,144,515
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	974,632	2,802,942	500,507
საგადასახადო ვალდებულება	15	251,721	147,321	17,065
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,318,935	4,355,578	2,662,087
სულ ვალდებულებები		4,016,060	4,355,578	2,662,087
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,735,180	4,518,702	3,327,293

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აგვისტოს:

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 9-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვარი	665,206	665,206
წლის სრული შემოსავალი გამოცხადებული დივიდენდი	163,124 (665,206)	163,124 (665,206)
2017 წლის 31 დეკემბერი	163,124	163,124
წლის სრული შემოსავალი	555,996	555,996
2018 წლის 31 დეკემბერი	719,120	719,120

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აგვისტოს:

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

ა. მ. მ. მ.

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

მ. ბიბილეიშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		555,996	196,769
კორექტირებები:			
უიმედო სესხის ჩამოწერა	8,9	835,065	17,367
საპროცენტო შემოსავალი	7,9	(38,198)	(32,400)
საპროცენტო ხარჯი	7,13	152,620	119,665
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ხარჯი	8	42,385	87,757
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		1,547,868	355,513
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		287,800	610,052
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		348,153	(1,827,497)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(1,835,039)	2,333,352
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		104,400	96,611
გადახდილი პროცენტები	13	(152,709)	(119,199)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		300,473	1,482,477
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	13	2,866,542	3,753,166
გადახდილი სესხები	13	(1,464,012)	(4,569,806)
გაცემული სესხი	9	(835,065)	(208,021)
გაცემული დივიდენდი		-	(665,206)
წმინდა ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან		567,465	(1,689,867)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		(53,705)	(41,700)
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		814,233	(249,090)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	817	249,907
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	815,050	817

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოაწერეს ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აგვისტოს:

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

გ. მ. მ. მ.

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

გ. მ. მ. მ.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ექსპორტ +“ (შემდეგში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რეგისტრირებულია მისამართზე - მცხეთა, სოფ. აღდგომიანთკარი და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს არჩილ მხეიძე.

კომპანია ეწევა გარკვეული ტიპის პროდუქტის იმპორტს და მის მიწოდებას კონკრეტული მომხმარებლისათვის საქართველოში. კომპანიის მიერ იმპორტირებული საქონელი არის სპეციალური ხარისხისა და მახასიათებლების მქონე შაქარი, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს რათა ვარგისი იყოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. აღნიშნული პროდუქტი გამიზნულია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-თვის მისაწოდებლად.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად. წინა წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო ადგილობრივი ბუღალტრული პრინციპების გამოყენებით, ეს არის პირველი წელი როდესაც კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ზე გადასვლის თარიღია 1 იანვარი, 2017. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალებდა უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა გონივრულ განსჯას კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მისი სამომავლო გეგმების თაობაზე. გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად კომპანიას აქვს გაუნაწილებელი მოგება, დადებითი და მზარდი ფულადი ნაკადები, ამცირებს სავაჭრო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს სავაჭრო ბრუნვის მცირე ზრდის პირობებში. ამჟამად მისი ძირითადი საქმიანობა არის მოიძიოს, იმპორტირება გაუწიოს და მიაწოდოს საქონელი სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს, რომელიც მისი ერთადერთი თუმცა სტაბილური მომხმარებელია. ხოლო კომპანიის სამომავლო გეგმები უკავშირდება ახალი მომხმარებლების დამატებას და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას სოფლის მეურნეობის დარგში. აღნიშნულის განსახორციელებლად კომპანიას მოპოვებული აქვს გრძელვადიანი დაფინანსება და საანგარიშგებო პერიოდის შემგომ შეძენილი აქვს გრძელვადიანი აქტივები, როგორც ეს მე-18 შენიშვნაშია აღნიშნული. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საქმე არ ემუქრება და, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2018 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922	2.6468
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044	2.7940

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) შესრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე

პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე - ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემდგომი ფაქტობრივი ღირებულებას გამოვლენული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების
ვადა (წლები)

ე) პროგრამული ლიცენზია

5

წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. სამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამისი ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. სხვა დანარჩენი ხარჯები აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს შემდეგ საპროცენტო განაკვეთებს:

სასარგებლო მომსახურე

ობის ვადა

(წლები)

5 წელი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ თანხებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, როგორც „სხვა შემოსავალი“ ან „სხვა ხარჯი“.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად. ლიზინგის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებით დაქირავებული აქვს აქტივი ნებისმიერი სამომავლო პირობებით, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს აქვს არჩევანი, განაგრძოს აქტივის ქირავნობა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც ლიზინგის დაწყებისას გონივრულად დაკონკრეტებულია, რომ ლიზინგის მიმღები გამოიყენებს ამ არჩევანს.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გასაყიდ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები მომსახურების გაწევისას აღიარდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე, თუ მისგან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი შემოსავლის მიღება, ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან სცდება შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შევებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე განიხილება ყველა დებიტორული მუხლის მიმართ რომლის შეფასებაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, დისკონტირებულს საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახლოსაა რეალურთან. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარიცხს.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაბამისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

ზოგიერთი ახალი სტანდარტები და განმარტებები გამოცემულია, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და რომლის წარდგენაც სავალდებულო იქნება. კომპანიას ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები წინასწარ არ მიუღია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 16, იჯარა (გამოცემული 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედი ყოველწიური პერიოდისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან).

ახალი სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და ასახვის პრინციპებს. საიჯარო შეთანხმების შედეგად იჯარის მიმღები მოიპოვებს აქტივით სარგებლობის უფლებას იჯარის დაწყებისას და აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას დროთა განმავლობაში განსახორციელებელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. აგრეთვე, ფასს 16 აუქმებს იჯარის კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარებად, როგორც ამას მოითხოვს ბას 17 და სანაცვლოდ, წარმოადგენს ერთი სახის იჯარის აღრიცხვის მოდელს. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: ა) აქტივები და ვალდებულებები წარმოქმნილი 12 თვეზე მეტი ვადის მქონე ყველა საიჯარო შეთანხმებიდან, გარდა დაბალი ღირებულების საბაზო აქტივებისა; და ბ) იჯარის აქტივების ცვეთა საიჯარო ვალდებულებების პროცენტისგან განცალკევებით მოგება ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლის ანგარიშში. ფასს 16 არსებითად უცვლელს ტოვებს მეიჯარისათვის ბას 17-ით გათვალისწინებული იჯარის აღრიცხვის მოთხოვნებს. შესაბამისად, იჯარის გამცემი აგრძელებს თავისი იჯარის კლასიფიცირებას, როგორც საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად და ამ სხვადასხვა ტიპის ორი იჯარის სხვადასხვაგვარად აღრიცხვას.

ფასს 23 “გაურკვევლობა მოგებიდან გადასახადის რეჟიმთან დაკავშირებით” (გამოცემული 2017 წლის 7 ივნისს და მოქმედი ყოველწიური პერიოდისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან).

ბას 12 განმარტავს, თუ როგორ აღვრიცხოთ მიმდინარე და გადავადებული გადასახადები, მაგრამ არა იმას, თუ როგორ ავსახოთ გაურკვევლობის შედეგები. განმარტება ეხება იმას თუ როგორ გამოვიყენოთ აღიარების და შეფასების მოთხოვნები ბას 12-ში, როდესაც ადგილი აქვს გაურკვევლობას მოგებიდან გადასახადის რეჟიმთან დაკავშირებით.

სუბიექტმა უნდა განსაზღვროს, ცალკე განიხილოს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი თუ ერთ ან მეტ სხვა გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, რომლის საფუძველზეც მიდგომა უკეთესად განჭვრეტს გაურკვევლობის გადაწყვეტას. სუბიექტმა უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო გამოიკვლევს თანხებს, რომლის განხილვის უფლებაც მას აქვს და აქვს სრულყოფილი ცოდნა ყველა დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ ამ გამოკვლევების განხორციელებისას. თუ სუბიექტი დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმს, გაურკვევლობის შედეგები აისახება დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების და ზარალის, საგადახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო ტარიფების დადგენაში, ყველაზე მსგავსი თანხების ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, იმის მიხედვით, თუ რომელი მეთოდიდან მოელის სუბიექტი გაურკვევლობის გადაჭრის უკეთეს ვარაუდს.

სუბიექტი ასახავს ფაქტების და გარემოებების ცვლილების შედეგს ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს შეფასებებსა და დასკვნებზე, რასაც მოითხოვს განმარტება ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში. ფაქტების და გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის, მაგალითები რამაც შესაძლოა შედეგად მოიტანოს ვარაუდების და შეფასებების ხელახალი შეფასება მოიცავს, მაგრამ არა შემოიფარგლება შემდეგით: საგადასახადო ორგანოს გამოკვლევებს ან მოქმედებებს, მის მიერ დადგენილი წესების ცვლილებებს ან საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვას, რომ შეამოწმოს ან ხელახლა გადახედოს საგადასახადო რეჟიმს. საგადასახადო ორგანოს მხრიდან თანხმობა ან უთანხმოება საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით ცალკეულად, სავარაუდოდ არ წარმოადგენს ცვლილებებს ფაქტებსა და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რასაც გავლენა აქვს დასკვნებსა და შეფასებებზე, რომელსაც ინტერპრეტაცია მოითხოვს. კომპანია ამჟამად აფასებს განმარტების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში (გაგრძელება)

შემდეგი სხვა სიახლეებს სავარაუდოდ არ ექნებათ რაიმე არსებითი გავლენა კომპანიაზე, როდესაც მიღებული იქნება:

- საავანსო გადახდების თვისებები უარყოფითი ანაზღაურებით - შესწორებები ფასს 9-ში (გამოცემული 2017 12 ოქტომბერს და მოქმედი ყოველწლიური პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვრიდან).
- გრძელვადიანი პროცენტები პარტნიორ და ერთობლივ საწარმოებში - ბას 28-ის შესწორება (გამოცემული 2017 წლის 12 ოქტომბერს და მოქმედი ყოველწლიური პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვრიდან).
- ფასს 2015-2017 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები - შესწორებები ფასს 3, ფასს 11, ბას 12 და ბას 23 (გამოცემული 2017 წლის 12 დეკემბერს და მოქმედი ყოველწლიური პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვრიდან).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და განმარტებები არ არის მოსალოდნელი, რომ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

5. შემოსავალი

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს შაქრის რეალიზაციით რომელიც ხორციელდება მის ერთადერთ, თუმცა სტაბილურ კლიენტთან და ამონაგები 2018 წელს შეადგენს 10,141,695 ლარს (2017: 9,469,034 ლარი).

6. ადმინისტრაციული ხარჯი

	2018	2017
შრომის ანაზღაურების ხარჯი	33,000	33,000
ბანკის საკომისიო	31,977	33,654
სხვა ხარჯი	-	260
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	64,977	66,914

7. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	38,198	32,400
საპროცენტო ხარჯი	(152,620)	(119,665)
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(114,422)	(87,265)

8. არასაოპერაციო ხარჯები

	2018	2017
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	42,385	87,757
უიმედო სესხის ხარჯი	835,065	17,367
სხვა ხარჯი	17,588	17,705
სულ არასაოპერაციო ხარჯი	895,038	122,829

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

9. გაცემული სესხები

სესხის თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს ქართული ხილის კომპანია	1 იანვარი 2017	28 თებერვალი 2019	GEL	64,000	64,000	64,000
არჩილ მზეიძე	15 მარტი 2017	31 მარტი 2019	GEL	190,654	190,654	-
სულ სესხის თანხა				254,654	254,654	64,000
მისაღები პროცენტები						
შპს ქართული ხილის კომპანია	1 იანვარი 2017	28 თებერვალი 2019	GEL	28,668	19,068	9,468
არჩილ მზეიძე	15 მარტი 2017	31 მარტი 2019	GEL	51,398	22,800	-
სულ მისაღები პროცენტები				80,066	41,868	9,468
სულ გაცემული სესხი				334,720	296,522	73,468
მათ შორის						
გრძელვადიანი ნაწილი				-	254,654	64,000
მიმდინარე ნაწილი				334,720	41,868	9,468
სულ გაცემული სესხები				334,720	296,522	73,468

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოხდა გაცემული სესხების და მათზე დარიცხული სარგებლის დაფარვა, როგორც ეს მე-18 შენიშვნაშია
მითითებული. 2017 წელს, ფიზიკურ პირზე გაცემულ სესხებზე დარიცხული მოგების გადასახადი ნაშევნები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,
მოგების გადასახადის მუხლში.

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

9. გაცემული სესხები (გაგრძელება)

	2018	2017
საწყისი ნაშთი	296,522	73,468
მატება	835,065	208,021
საპროცენტო შემოსავალი	38,198	32,400
უიმედო სესხის ხარჯი	(835,065)	(17,367)
საბოლოო ნაშთი	334,720	296,522

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საქონელი გზაში	1,281,764	1,827,497	-
მზა პროდუქცია	197,580	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,479,344	1,827,497	-
	2018	2017	
საწყისი ნაშთი	1,827,497	-	
მარაგების შეძენა	11,818,103	10,822,754	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,511,262)	(8,995,257)	
საბოლოო ნაშთი	1,479,344	1,827,497	

მარაგების თვითღირებულება ფასდება შეწონილი საშუალოს მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გასაყიდ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს. 2018 წელს გაყიდული საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 8,511,262 ლარი (2017: 8,995,257 ლარი).

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური მოთხოვნა			
სავაჭრო მოთხოვნები	2,054,750	2,392,550	3,002,602
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,054,750	2,392,550	3,002,602
არაფინანსური მოთხოვნა			
წინასწარ გადახდილი თანხები	50,000	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,104,750	2,392,550	3,002,602

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი, შემოსავლების შესაბამისად ანალოგიურადაა კონცენტრირებული მის ერთადერთ, თუმცა სტაბილური კლიენტთან (იხილეთ ასევე მე-5 შენიშვნა).

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	782,153	514	249,907
ფული ბანკში ლარში	32,897	303	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	815,050	817	249,907

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	- ვალუტა -	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სესხის თანხა							
არჩილ მხიძე	15.03.2017	15.08.2019	GEL	12.00%	-	-	20,000
TBC 2680373-8644138	30.11.2016	27.01.2017	USD	9.50%	-	-	794,040
TBC 2680373-8687780	28.12.2016	28.02.2017	USD	9.50%	-	-	1,323,400
TBC 2680373-8944012	05.06.2017	29.06.2018	EUR	8.30%	-	1,396,455	-
TBC 2680373-9944731	29.06.2018	24.06.2019	GEL	4%+სებრგ	731,570	-	-
TBC 2680373-9944950	29.06.2018	24.06.2019	EUR	8.3%+6 m EURIBOR	1,267,614	-	-
ხალიკ ზანკი	28.12.2018	28.12.2025	USD	8.00%	781,986	-	-
სულ სესხის თანხა					2,781,170	1,396,455	2,137,440
გადასახდელი პროცენტები							
არჩილ მხიძე	15.03.2017	15.08.2019	GEL	12.00%	-	-	5,313
TBC 2680373-8644138	30.11.2016	27.01.2017	USD	9.50%	-	-	1,068
TBC 2680373-8687780	28.12.2016	28.02.2017	USD	9.50%	-	-	694
TBC 2680373-8944012	05.06.2017	29.06.2018	EUR	8.30%	-	8,860	-
TBC 2680373-9944731	29.06.2018	24.06.2019	GEL	4%+სებრგ	3,872	-	-
TBC 2680373-9944950	29.06.2018	24.06.2019	EUR	8.3%+6 m EURIBOR	4,149	-	-
ხალიკ ზანკი	28.12.2018	28.12.2025	USD	8.00%	516	-	-
სულ გადასახდელი პროცენტები					8,537	8,860	7,075
სულ მიღებული სესხები					2,789,707	1,405,315	2,144,515
მათ შორის							
გრძელვადიანი ნაწილი					697,125	-	-
მიმდინარე ნაწილი					2,092,582	1,405,315	2,144,515
სულ მიღებული სესხები					2,789,707	1,405,315	2,144,515

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	2018	2017
საწყისი ნაშთი	1,405,315	2,144,515
მატება	2,866,542	3,753,166
საპროცენტო ხარჯი	152,620	119,665
სესხის თანხის გადახდა	(1,464,012)	(4,569,806)
პროცენტის გადახდა	(152,709)	(119,199)
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი/(ხარჯი)	(18,049)	76,974
საბოლოო ნაშთი	2,789,707	1,405,315

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	971,882	2,800,192	497,757
გადასახდელი ხელფასები	2,750	2,750	2,750
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	974,632	2,802,942	500,507

15. გადასახადები

გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა - წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 251,721 ლარს 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 147,321 ლარი, 2017 წლის 1 იანვარი: 17,065 ლარი).

მოგების გადასახადთან დაკავშირებით - სააღრიცხვო პოლიტიკა დეტალურად მოცემულია მე-2 შენიშვნაში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება მოგების გადასახადით დაბეგვრა დივიდენდების განაწილებისას, ასევე თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს ჩაითვალოს წინა პერიოდებში გადახდილი მოგების გადასახადები.

16. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური თანხა აქტივების კლასის მიხედვით საკრედიტო რისკის მიმართ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გაცემული სესხი			
გრძელვადიანი სესხი	-	254,654	64,000
სესხის მიმდინარე ნაწილი	334,720	41,868	9,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნა, წმინდა	2,054,750	2,392,550	3,002,602
ფული და ფულის ექვივალენტები			
მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ბალანსები	815,050	817	249,907

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს

ცხრილში წაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი 2018	ლარი	დოლარი	ევრო	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	32,897	782,153	-	815,050
გაცემული სესხები	334,720	-	-	334,720
სავაჭრო მოთხოვნები	2,054,750	-	-	2,054,750
სულ ფინანსური აქტივები	2,422,367	782,153	-	3,204,520
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	735,442	782,502	1,271,763	2,789,707
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28,286	946,346	-	974,632
სულ ფინანსური ვალდებულებები	763,728	1,728,848	1,271,763	3,764,339
წმინდა პოზიცია	1,658,639	(946,695)	(1,271,763)	(559,819)
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	(94,670)	(127,176)	(55,982)
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	94,670	127,176	55,982

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2017	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	303	514	-	817
გაცემული სესხები	296,522	-	-	296,522
სავაჭრო მოთხოვნები	2,392,550	-	-	2,392,550
სულ ფინანსური აქტივები	2,689,375	514	-	2,689,889
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-	-	1,405,315	1,405,315
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,528	2,779,414	-	2,802,942
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,528	2,779,414	1,405,315	4,208,257
წმინდა პოზიცია	2,665,847	(2,778,900)	(1,405,315)	(1,518,368)
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	(277,890)	(140,532)	(418,422)
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	277,890	140,532	418,422
1 იანვარი 2017	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	249,907	-	249,907
გაცემული სესხები	73,468	-	-	73,468
სავაჭრო მოთხოვნები	3,002,602	-	-	3,002,602
სულ ფინანსური აქტივები	3,076,070	249,907	-	3,325,977
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	25,313	2,119,202	-	2,144,515
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,750	497,757	-	500,507
სულ ფინანსური ვალდებულებები	28,063	2,616,959	-	2,645,022
წმინდა პოზიცია	3,048,007	(2,367,052)	-	680,955
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	(236,705)	-	(236,705)
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	236,705	-	236,705

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	815,050	-	-	815,050
გაცემული სესხები	334,720	-	-	334,720
სავაჭრო მოთხოვნები	2,054,750	-	-	2,054,750
სულ ფინანსური აქტივები	3,204,520	-	-	3,204,520
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	974,632	-	-	974,632
მიღებული სესხები	2,092,582	426,855	270,270	2,789,707
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,067,214	426,855	270,270	3,764,339
სხვაობა	137,306	(426,855)	(270,270)	(559,819)
31 დეკემბერი 2017	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	817	-	-	817
გაცემული სესხები	41,868	254,654	-	296,522
სავაჭრო მოთხოვნები	2,392,550	-	-	2,392,550
სულ ფინანსური აქტივები	2,435,235	254,654	-	2,689,889
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,802,942	-	-	2,802,942
მიღებული სესხები	1,405,315	-	-	1,405,315
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,208,257	-	-	4,208,257
სხვაობა	(1,773,022)	254,654	-	(1,518,368)
1 იანვარი 2017	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	249,907	-	-	249,907
გაცემული სესხები	9,468	64,000	-	73,468
სავაჭრო მოთხოვნები	3,002,602	-	-	3,002,602
სულ ფინანსური აქტივები	3,261,977	64,000	-	3,325,977
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	500,507	-	-	500,507
მიღებული სესხები	2,144,515	-	-	2,144,515
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,645,022	-	-	2,645,022
სხვაობა	616,955	64,000	-	680,955

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;

დაკავშირებული მხარე	ურთიერთობა	ბალანსი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
არჩილ მხეიძე	პარტნიორი	გაცემული სესხი	219,322	213,454	-
არჩილ მხეიძე	პარტნიორი	მიღებული სესხები	-	-	25,313

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;

დაკავშირებული მხარე	ურთიერთობა	შემოსავალი/ხარჯი	2018	2017
არჩილ მხეიძე	პარტნიორი	საპროცენტო შემოსავალი	28,598	22,800
არჩილ მხეიძე	პარტნიორი	საპროცენტო ხარჯი	-	388
ხელმძღვანელობის ანაზღაურება			15,000	15,000

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეძენილი აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შპს OVER GLOB AG-გან.

კომპანიის ანგარიშგება მოიცავს გაცემული სესხების მნიშვნელოვან ნაშთებსა და მათზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს როგორც ეს ნაჩვენებია მე-9 შენიშვნაში. აღნიშნული სესხები მათზე დარიცხული სარგებლით კომპანიამ სრულად მიიღო 2019 წელს. მათგან ერთ-ერთის, დამფუძნებელზე გაცემულის სესხის 190,654 ლარი და დარიცხული პროცენტის 51,398 ლარი, დაბრუნება შედგა 2019 წლის მარტში და ამავე თარიღში ნაწილობრივ გაისტუმრა შპს OVER GLOB AG-ის წინაშე არსებული დავალინება, წარმოქმნილი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გრძელვადიანი აქტივების შეძენის შედეგად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შპს OVER GLOB AG-თან ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება კომპანიის ვალდებულების შემცირების თაობაზე, შპს „ქართული ხილის კომპანიის“ მიმართ არსებული საკრედიტო მოთხოვნის 64,000 ლარის და დარიცხული პროცენტის 28,668 ლარის დათმობის გზით, როგორც ნაჩვენებია მე-9 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აგვისტოს.